

# საქართველოს უზენაესი სასამართლო

## რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი

ადმინისტრაციული სამართლის სასამართლო პრაქტიკის  
პრობლემატურ საკითხებზე

X X X

თბილისი  
2007

## სარჩევი

|                |       |        |
|----------------|-------|--------|
| წინასიტყვაობა  | ----- | 3 - 5  |
| რეკომენდაციები | ----- | 6 - 38 |

## წინასიტყვაობა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს!

ძვირფასო კოლეგებო,

თქვენთვის ცნობილია, რომ სასამართლო სისტემაში მასშტაბური, ყოვლისმომცველი რეფორმა მიმდინარეობს. სხვათაგან ერთად, ამ რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაა. ცხადია, აღნიშნულის მიღწევას წლები სჭირდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მშვიდად უნდა მივყვეთ დროს. პირიქით, სწორედ აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობის დაწყება და მსოფლიოში აპრობირებული ყველა სათანადო მექანიზმის გამოყენება, რათა შედარებით მცირე დროში მივიღოთ შედეგი.

ტრადიციული დემოკრატიის სახელმწიფოებს ამ მხრივ ჩვენთან შედარებით უდიდესი უპირატესობა აქვთ: ეს არის რამდენიმე ათეული წლის გამოცდილება და ამ ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული და მუდმივად განვითარებული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ქვეყნდება სპეციალური კრებულის სახით (ან ვრცელდება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით კომპიუტერულ ქსელში) და ყველასათვის, პირველ რიგში კი მოსამართლეთათვის არის ხელმისაწვდომი. ამასთან ერთად, განსაკუთრებით საინტერესოა აღნიშნულ სახელმწიფოებში ასევე წლების განმავლობაში დამკვიდრებული ე.წ. „guidelines“ („რეკომენდაციების“, „სახელმძღვანელო პრინციპების“) შექმნის პრაქტიკა (ამ მხრივ განსაკუთრებული ტრადიციით ამერიკის შეერთებული შტატები გამოირჩევა). ეს რეკომენდაციები (სხვადასხვა ქვეყანაში მათ სხვადასხვა სახელწოდება აქვთ) კიდევ უფრო უწყობენ ხელს ნორმათა ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებას და, შესაბამისად, მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელების ერთ-ერთ საფუძველს ქმნიან.

მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლიდან დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება კრებულის სახით და ეგზავნება მოსამართლეებს, მაგრამ მხოლოდ გამოქვეყნება ნამდვილად არ არის საკმარისი და ვერ ხსნის პრობლემას. ამის დასტურია ის გარემოება, რომ ძალიან ხშირია გადაწყვეტილებები, რომლებიც მსგავსი გარემოებების მქონე საქმეებზე რადიკალურად განსხვავებულ შედეგს ადგენენ, ე.ი. არსებობს უამრავი ნორმა, რომელთან მიმართებითაც სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს სხვადასხვა მოსაზრებები გააჩნიათ და სხვადასხვა პრაქტიკას მისდევენ, რაც საბოლოო ჯამში საქმეთა გადაწყვეტაზე აისახება და საქმეთა განხილვის გაჭიანურებას იწვევს. ერთ-ერთი მიზეზი ამისა ისიც არის, რომ საქმეებით უაღრესად დატვირთულ მოსამართლეებს მცირეოდენი დროც კი არ რჩებათ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გასაცნობად.

ყოველივე ზემოთქმულიდან და დემოკრატიულ სახელმწიფოთა აღნიშნული გამოცდილებიდან გამომდინარე, 2006 წლის თებერვალში საფუძველი ჩაეყარა ახალ ინიციატივას, რაც გულისხმობს საქართველოს

უზენაეს სასამართლოში ყველა ინსტანციის მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების ორგანიზებას. ამ შეხვედრათა მიზანია სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, ანალიზი, სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეთა განსხვავებული მოსაზრებების შეჯერება და დისკუსიის შედეგად კონკრეტულ ნორმათა ერთგვაროვანი გაგების ჩამოყალიბება. შეხვედრის შედეგები გაფორმდება წერილობით და რეკომენდაციების სახით დაეგზავნება ყველა მოსამართლეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. წინამდებარე გამოცემა სწორედ ამ რეკომენდაციათა კრებულს წარმოადგენს.

2006 წლის 18 თებერვლიდან დღემდე უზენაეს სასამართლოში ათამდე ასეთი შეხვედრა გაიმართა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისისა და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის მოსამართლეებმა. შეხვედრების შედეგად სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ნორმათა ერთგვაროვანი გამოყენების რეკომენდაცია ჩამოყალიბდა დაახლოებით 45 პრობლემატურ საკითხზე. საყურადღებოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულისაგან განსხვავებით, რეკომენდაციები ჩამოყალიბებულია მოკლედ, 1-2 გვერდზე და მარტივად, ნათლად და მკაფიოდ გადმოსცემს საკითხის არსს. ცხადია, რომ სამართლის ყველა ნორმასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას წლები დასჭირდება, მაგრამ ამგვარი შეხვედრების შედეგად მიღებულ რეკომენდაციათა გამოყენებით ჩვენ შედარებით უფრო სწრაფად უნდა შევძლოთ კონკრეტულ პრობლემატურ საკითხთა მოგვარება და მათი ერთგვაროვანი გამოყენება. საბოლოო ჯამში, ჩვენი მიზანია ნორმათა უმრავლესობასთან დაკავშირებით ასეთი ერთიანი მიდგომის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. აქ იგულისხმება არა მხოლოდ მოსამართლეთა მიერ პროცესის უფრო სწრაფად წარმართვის შესაძლებლობა, არამედ ისიც, რომ ადვოკატებისა და მათი კლიენტების უმრავლესობისათვის თავიდანვე განჭვრეტადი იქნება მათი სამართლებრივი პრეტენზიის პერსპექტივა. მათ ასევე ეცოდინებათ, რომ ეს პრაქტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება არა მხოლოდ I ინსტანციის კონკრეტულ სასამართლოში, არამედ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებშიც და საქართველოს უზენაესი სასამართლო სწორედ თანმიმდევრული პრაქტიკის გათვალისწინებით ცნობს სარჩელებს დასაშვებად ან დაუშვებად. შედეგად, შესაძლებელია სარჩელთა რაოდენობაც კი შემცირდეს, რადგან გონიერი და კეთილსინდისიერი ადვოკატი და მისი კლიენტი ტყუილად არ გასწვევენ ხარჯებს სასამართლოში და არ დაკარგავენ დროს, ან თავიდანვე შეეცდებიან მოწინააღმდეგე მხარესთან მორიგებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციებს არ აქვთ სავალდებულო ძალა (ისევე როგორც დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებში), მაგრამ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა და ერთიანი (გაბატონებული) სამართლებრივი მიდგომის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებათ. მოსამართლეები თავად უნდა იყვნენ მოწადინებული მიიღონ, შექმნან რეკომენდაციები რაც შეიძლება მეტ ნორმასთან დაკავშირებით, რადგან ეს, პირველ რიგში, მათი საქმიანობის გაუმჯობესებას გამოიწვევს (განსახილველი რთული ნორმების სწრაფად გაგებისა და გამოყენების თვალსაზრისით). საყურადღებოა ის გარემოება, რომ სხვა სახელმწიფოთა მოსამართლეები წლების განმავლობაში განუხრელად

იყენებენ რეკომენდაციებს (ერთეული გამონაკლისების გარდა) თავიანთ საქმიანობაში და პროცესის წარმართვისას შესაბამისი კრებულები მათი მთავარი სახელმძღვანელოა.

კიდევ ერთი სიკეთე, რაც ახალ ინიციატივას მოაქვს არის ის, რომ მოსამართლეთა შორის ცოცხალი დისკუსიები სამართლებრივად სადავო საკითხებზე უფრო ნათლად დაგვანახებს იმ საკანონმდებლო ცვლილებათა აუცილებლობას, რაც საჭიროა ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად და შესაბამისი ნორმის უფრო ნათლად, არაორაზროვნად ჩამოსაყალიბებლად.

წინამდებარე კრებულში მოცემულია ყველა რეკომენდაცია, რომელიც მიღებულ იქნა თქვენს მიერ გასული პერიოდის განმავლობაში. მომავალში, მოსამართლეთა ყოველი კონკრეტული შეხვედრის შედეგად მიღებული რეკომენდაციები დაიგზავნება თითოეულ მოსამართლესთან. გარკვეული დროის (6 თვის ან 1 წლის) შემდეგ კი კიდევ ერთხელ ყველა რეკომენდაციას ისევ კრებულის სახით მოგაწვდით.

**პატივისცემით,  
კონსტანტინე კუბლაშვილი**

*საქართველოს უზენაეს სასამართლოში ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საკითხებზე მოსამართლეთა შეხვედრები გაიმართა 2006 წლის 19 თებერვალს, 2 აპრილს, 2007 წლის 21 ივლისსა და 7 ოქტომბერს, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა შემდეგი რეკომენდაციები:*

**I.**

**განმწესრიგებელი სხდომის მოწვევა და მისი ჩატარება** სასამართლოში შემოსული ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (შემდგომში ასკ) სიახლეს (ახალ ნორმას) წარმოადგენს. ასკ-ის 26<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის (სარჩელის მიღებიდან ორი კვირის ვადაში განმწესრიგებელ სხდომაზე სასამართლო მხარეთა მონაწილეობით განიხილავს ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის საკითხს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საკითხის განხილვას) მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოსამართლე ვალდებულია, სარჩელის მიღებიდან ორი კვირის ვადაში მხარეთა მონაწილეობით ჩაატაროს სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა ამავე კოდექსის 22-25-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად. პირველი ინსტანციის მოსამართლეებმა პრობლემა სწორედ იმაში დაინახეს, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამ მუხლში ასეთი იმპერატიული ხასიათის დათქმის არსებობა, ანუ გამწესრიგებელი სხდომის ჩატარების თაობაზე მოსამართლის ვალდებულებაზე მითითება, მაშინ, როდესაც ზოგჯერ აშკარაა, რომ სარჩელი, მაგალითად, ხანდაზმულობის მოტივით, უდავოდ დაუშვებელია. იქნებ უფრო მართებული იქნებოდა ამ საკითხისადმი არა იმპერატიული (სავალდებულო), არამედ დისპოზიციური (ფაკულტატიური) მიდგომა, რაც იმას ნიშნავს, რომ ორ კვირაში გამწესრიგებელი სხდომის ჩატარების ვალდებულება შეიცვალოს მოსამართლის ასეთივე უფლებით და მისი ჩატარების საკითხის გადაწყვეტა გახდეს მხოლოდ მოსამართლის შეხედულებაზე დამოკიდებული, ანუ მოსამართლემ თავად გადაწყვიტოს, რამდენად საჭიროა გამწესრიგებელი სხდომის ჩატარება იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი აშკარად დაუშვებელია. დაიბადა აზრი იმის თაობაზეც, რომ აღნიშნული ვადა გაიზარდოს ერთ თვემდე.

**საბოლოოდ, შეთანხმება იქნა მიღწეული** იმის თაობაზე, რომ ასკ-ის 26<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის ზემოაღნიშნული მოთხოვნა დარჩეს ამჟამად არსებული რედაქციით (მასში ცვლილება ამ ეტაპისთვის მიზანშეუწონელია). მართალია, თუ მხარეს სასამართლო უწყება არ ჩაჰბარდა აღნიშნული საპროცესო ნორმით დადგენილ ორკვირიან ვადაში, განმწესრიგებელი სხდომა გადაიდება (სხდომის ასეთი გადადება არ არის აკრძალული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით). ამასთან, საპროცესო კანონი მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევს, მხარეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ მათ სასამართლო უწყებები ჩაჰბარდათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე

მუხლებით დადგენილი წესით, სარჩელის დასაშვებობის საკითხი განიხილოს მხარეთა დასწრების გარეშე. ასე რომ, საბოლოოდ შეჯერდა აზრი ამ მუხლთან დაკავშირებით და ჯერჯერობით საკანონმდებლო ცვლილებები საჭირო არ არის, ვინაიდან სასამართლომ სარჩელის დასაშვებობის საკითხი უნდა შეამოწმოს ზემოაღნიშნული პრაქტიკის მიხედვით.

## II.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, **ზემდგომი სასამართლო განჩინების გაუქმების ან არსებითი განხილვისას წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენის შემთხვევაში საქმეს განსახილველად დაუბრუნებს განსჯად სასამართლოს.** ამ ნაწილის ნორმაც, სამართლებრივი არსით, იმპერატიულია. გამოითქვა აზრი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ნორმა იყოს დისპოზიციური ხასიათის, ანუ მოსამართლეს შეეძლოს, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენის შემთხვევაში, განიხილოს საქმე, თავად შეწყვიტოს იგი და არ გადააგზავნოს პირველ ინსტანციაში.

## III.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებმა პრობლემა დაინახეს **ასკ-ის 26<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნასთან დაკავშირებით,** კერძოდ, აღნიშნული საპროცესო ნორმის ამჟამად მოქმედი ფორმულირების მიხედვით, „განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ საჩივრდება კერძო საჩივრით ზემდგომ სასამართლოში“. ასკ-ის ცალკე თავი, რომელიც კერძო საჩივარს დაეთმობოდა, არ გააჩნია. ასკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ამიტომ, ზემოაღნიშნული შემთხვევის დროს მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმებით, რომლებიც კერძო საჩივარს შეეხება.

**ამასთან, შეჯერდა აზრი, რომ საჭიროა საკანონმდებლო ცვლილება** და ასკ-ის 26<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან ზედმეტი სიტყვების – „ზემდგომ სასამართლოში“ ამოღება, ვინაიდან საპროცესო კანონი ცალსახად მიუთითებს, რომ ასეთი განჩინების გასაჩივრება დაიშვება მხოლოდ ზემდგომ სასამართლოში. გარდა ამისა, ასკ-ის 26<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილი არ გულისხმობს და შესაბამისად, მოსამართლეებმაც არ უნდა გაიგონ ისე, თითქოს აღნიშნული ნაწილით რეგლამენტირებული საპროცესო ნორმით ლეგალურადაა დაფუძნებული კერძო საჩივრის დაშვების განსხვავებული წესი.

#### IV.

საინტერესო დისკუსია გაიმართა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრასა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებების მნიშვნელობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის. ასკ-ის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფიზიკური პირი ინდივიდუალური მეწარმეა, არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტას.

**საბოლოოდ, შეჯერდა აზრი, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ფიზიკური პირის მიერ ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვის შემთხვევაშიც, მის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ დააბრკოლებს აღნიშნული განცხადების განხილვასა და გადაწყვეტას. რაც შეეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადებას, უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, ხსენებულ განცხადებაზე ბაჟი ცალსახად გადასახდელია, მაგრამ ადმინისტრაციულ საქმეზე წარდგენილ ხსენებულ განცხადებასთან დაკავშირებითაც, ფიზიკური პირის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ დააბრკოლებს უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების შესახებ განცხადების განხილვასა და მასზე გადაწყვეტილების მიღებას.**

#### V.

ხშირია შემთხვევები, როდესაც პირველი ინსტანციიდან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში შესული კერძო საჩივრები კმაყოფილდება და საქმე განსახილველად უბრუნდება ქვემდგომ სასამართლოს. წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის მართებული ასეთ შემთხვევებში ზემდგომიდან ქვემდგომ სასამართლოში საქმის ყოველთვის უკან დაბრუნება და უმჯობესი ხომ არ იქნებოდა იმ კრიტერიუმების დადგენა, რომელთა მიხედვითაც, სააპელაციო სასამართლო თვითონ მიიღებდა სადავო საკითხზე გადაწყვეტილებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და მისთვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევები, ხოლო ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადაუგზავნოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად და თვითონ გადაწყვიტოს იგი. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული ან დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.



ერთიანი აზრი ჩამოყალიბდა იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია ზემოაღნიშნული პრობლემის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე და 394-ე მუხლებთან მიმართებაში განხილვა. თუ სააპელაციო სასამართლოს ექნება შესაძლებლობა, ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, თავად იმსჯელოს სადავო საკითხზე და მიიღოს გადაწყვეტილება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, უკან დააბრუნოს საქმე, კერძოდ, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საერთოდ დაუსაბუთებელია (არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს), მაშინ სააპელაციო სასამართლო უკან დაუბრუნებს საქმეს ქვემდგომ სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე.

## VI.

წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა მხარეთა (და არა მხოლოდ რომელიმე მხარის) გამოუცხადებლობის გამო, სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო თავისი ინიციატივით განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით იმპერატიულადაა დადგენილი, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის (დაუსწრებელი გადაწყვეტილება) დებულებანი, ხოლო აღნიშნული კოდექსის XXVI თავში შემავალი 231-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 275-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

ამ საკითხთან დაკავშირებით, შეჯერდა აზრი, რომ, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი დაფუძნებულია ამავე კოდექსის 231-ე მუხლის დებულებებზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავში შემავალი 231-ე მუხლი არ გამოიყენება ადმინისტრაციულ პროცესში, შესაბამისად, ამავე პროცესში არ გამოიყენება აღნიშნული კოდექსის 275-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტიც. ადმინისტრაციულ პროცესში, სამოქალაქო პროცესისაგან განსხვავებით, მოქმედებს ინკვიზიციურობის პრინციპი, რომელიც განმტკიცებულია ასკ-ის მე-4 მუხლსა და მე-19 მუხლის პირველ ნაწილში. აღნიშნული კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, ხოლო

ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. ამდენად, ადმინისტრაციული წესით საქმის განხილველი სასამართლო არა მარტო უფლებამოსილი, არამედ გარკვეულწილად ვალდებულიცაა საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ინიციატივითაც გამოითხოვოს და მოიპოვოს შესაბამისი მტკიცებულებები თუ დამატებითი ინფორმაცია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლით რეგლამენტირებული სარჩელის განუხილველად დატოვება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საქმის წარმოების დამთავრებას წარმოადგენს, რის გამოც აღნიშნული საპროცესო მოქმედება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედ ინკვიზიციურობის პრინციპს. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით. გარდა ამისა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლით გათვალისწინებული აღმკურნელი ნორმა ლეგალურად აფუძნებს გამარტივებულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას ადმინისტრაციული საქმის დროულად განხილვა-გადაწყვეტის მიზნით. მართალია, ხსენებული საპროცესო ნორმის გამოყენებისას, ფაქტობრივად, სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეს წყვეტს მხარეთა დაუსწრებლად, მაგრამ სასამართლოს ასეთი მოქმედება, სამართლებრივად, არ წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, ვინაიდან გამარტივებული წესით საქმის განხილვა-გადაწყვეტასთან დაკავშირებით, მხარეებს წერილობითი ფორმით აქვთ გამოხატული თავიანთი ნება. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლი არ გულისხმობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, რის გამოც დაუშვებელია აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებული გამარტივებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების ადმინისტრაციული საპროცესო ინსტიტუტის გაიგივება დაუსწრებელი გადაწყვეტილების სამოქალაქო საპროცესო ინსტიტუტთან.

## VII.

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებასა და მისი გასაჩივრების პროცედურასთან დაკავშირებით (ასკ-ის 29-ე მუხლთან მიმართებაში) პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთათვის გაურკვეველი აღმოჩნდა, თუ რა იგულისხმებოდა ასკ-ის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილში – საუბარი იყო კერძო

საჩივარზე, თუ მხარის (მხარეთა) შუამდგომლობაზე, ანუ რა შინაარსობრივი მიმართება იყო ხსენებულ ნაწილსა და ამავე მუხლის მე-9 ნაწილს შორის. ასკ-ის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება, თუ არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან (არსებით) ზიანთან ან ზღუდავს მხარის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

ასკ-ის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამდენად, ასკ-ის 29-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოში სარჩელის მიღებისას გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ავტომატურ რეჟიმს, ანუ აქტის, ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება არ არის დამოკიდებული მხარის ნებაზე, ან სასამართლო გადაწყვეტილებაზე. ასკ-ის 29-ე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ სასამართლო განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი. საკითხი დაისვა შემდეგნაირად: აქტის გასაჩივრების შემდეგ მოწინააღმდეგე მხარემ კერძო საჩივრით უნდა მიმართოს სასამართლოს თუ შუამდგომლობით (განცხადებით), რათა სასამართლომ, აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გააუქმოს გასაჩივრებული და უკვე შეჩერებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება.

**აზრი შეჯერდა** იმაზე, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების გაუქმება შესაძლებელია, როგორც ასკ-ის 29-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული კერძო საჩივრის წარდგენით, ისე ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაყენებით. მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა, რომლითაც იგი მოითხოვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების გადასინჯვას, ეფუძნება ასკ-ის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილში მოცემულ მოტივებს, აღნიშნული მოთხოვნის დაყენების უფლება კი მხარეს გააჩნია ადმინისტრაციული პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. რაც შეეხება კერძო საჩივარს, მისი შეტანა მხარეს შეუძლია ადმინისტრაციული პროცესის მოცემულ სტადიაზე კანონით დადგენილ ვადაში, ხოლო ის გარემოება, თუ რომელ მათგანს – შუამდგომლობას, თუ კერძო საჩივარს წარადგენს მხარე, დამოკიდებულია მის შეხედულებაზე.

### VIII.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო სამმართველომ (ან შესაბამისმა სამხედრო ნაწილმა) გასცა მოსარჩელეზე ცნობა, თუ რა ოდენობის სახელფასო დავალიანება, კვების ულუფა და სანივთე კომპენსაცია ერგება მის ყოფილ მოსამსახურეს. მოპასუხე თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ იგი აღნიშნულ ცნობას მიიჩნევს არა დავალიანების აღიარებად, არამედ – როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ საჯარო ინფორმაციად. რამდენად მართებულია აღნიშნული მოსაზრება?

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის, ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის: ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი, ან გაგზავნილი ინფორმაცია.

სასამართლოს მიერ იმის გასარკვევად, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან თუ ხსენებული ორგანოს მიერ, ზემოაღნიშნული კოდექსის III თავის (ინფორმაციის თავისუფლება) თანახმად, გაცემულ საჯარო ინფორმაციასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, გააჩნია თუ არა ცნობის მომთხოვნ პირს იმის ინტერესი, რომ მიიღოს ისეთი ცნობა, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანო აღიარებს და დაადასტურებს სახელფასო დავალიანების არსებობას. იმ შემთხვევაში, თუ პირს აქვს ასეთი ინტერესი, სახელფასო დავალიანების, კვების ულუფისა და სანივთე კომპენსაციის შესახებ ცნობა არ იქნება საჯარო ინფორმაცია.

იმ შემთხვევაში, თუ პირს არ გააჩნია ზემოაღნიშნული ინტერესი, ანუ თუ მხოლოდ ინფორმაცია გაიცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის (ინფორმაციის თავისუფლება)

შესაბამისად, სახეზე იქნება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს, ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა სამი წელია.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას, გამოითქვა აზრი იმის თაობაზე, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადა (მოსამართლე ალექსანდრე იოსელიანი). **მოსამართლეთა უმრავლესობამ გამოთქვა აზრი და შეთანხმება იქნა მიღწეული, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სახელშეკრულებო მოთხოვნების სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.**

## IX.

**„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კერძოდ, ამ კანონის მე-4<sup>1</sup> მუხლის თანახმად, არქმშენინსპექციას უფლება აქვს პირდაპირ დააჯარიმოს პირი და აღსასრულებლად მიაქციოს დადგენილება ხსენებული კანონისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად. სასამართლო წარმოებაში იმყოფება საქმეები, რომელთა მიხედვითაც, არქმშენინსპექციას სარჩელები აღძრული აქვს აღნიშნულ კანონში ცვლილებების შეტანამდე. ისმება კითხვა: სასამართლომ ჩვეულებრივად უნდა გააგრძელოს საქმეების განხილვა, თუ შეწყვიტოს მათი წარმოება ხსენებული საქმეების ქვემდებარეობის შეცვლის მოტივით?**

**„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4<sup>1</sup> მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, დამრღვევის მიერ კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის ან უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების დადგენილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში, მისი აღსრულება ხდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.**

**„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2005 წლის 22 დეკემბრის კანონით განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების დადგენილების აღსასრულებლად**

მიქცევისათვის საჭირო არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების დადგენილება დამრღვევისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის აღსრულების უზრუნველყოფა (დამრღვევის მიერ დადგენილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში) ხდება იძულებით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით (ამავე მუხლის მე-4 პუნქტი).

**შეჯერდა აზრი** იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს კონკრეტული ზოგადსამართლებრივი პრინციპები, ანუ, ერთი მხრივ, პროცესის ეკონომიურობის პრიორიტეტული პრინციპი, ხოლო, მეორე მხრივ, მოთხოვნის წარმოშობის მომენტისას მოქმედი კანონის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების პრინციპი. ამ უკანასკნელი პრინციპის რეალიზაციის იურიდიულ შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობასთან ორგანულადაა დაკავშირებული კანონისთვის უკუძალის მინიჭების საკითხი და ამ საკითხის გადაწყვეტისადმი ზოგადსამართლებრივი მიდგომები, ანუ შეიძლება იყოს ორი დიფერენცირებული და ურთიერთსაპირისპირო შემთხვევა, რომელთა ფაქტობრივი არსებობაც სამართლებრივად დგინდება სამართლის კონკრეტული ნორმების შედარებითი ნორმატიულ-შინაარსობრივი შეფასება-ანალიზის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ახალი კანონი აუმჯობესებს კონკრეტული პირის მდგომარეობას, მას ენიჭება უკუძალა მის ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიყენება მოთხოვნის წარმოშობის მომენტისას მოქმედი კანონის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების პრინციპი, ანუ ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია ახალი კანონისთვის უკუძალის მინიჭება. შესაბამისად, არ უნდა შეწყდეს განხილვის სტადიაზე მყოფი საქმეების წარმოება და სასამართლომ ჩვეულებრივად უნდა გააგრძელოს მათი განხილვა.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ კანონით გაუქმდა ან შემსუბუქდა პასუხისმგებლობა ასეთი სამართალდარღვევის ჩადენისთვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა.

აღინიშნა, რომ „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2005 წლის 22 დეკემბრის კანონით განხორციელებული ცვლილებების შედეგად ახლებურად ჩამოყალიბდა ამ კანონის მთელი რიგი ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს ამა თუ იმ კონკრეტული დარღვევისათვის სხვადასხვა ოდენობის ჯარიმას. გამოითქვა მოსაზრება, რომ ადმინისტრაციული პროცესის დაინტერესებული მხარე-სუბიექტის, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მხრიდან შესაბამისი თხოვნის არსებობისას, უკუძალა უნდა მიენიჭოს ხსენებული კანონის იმ ნორმებს, რომლებითაც მოპასუხის მიერ

კონკრეტული სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ შემსუბუქდა პასუხისმგებლობა ამ სამართალდარღვევისათვის და შესაბამისად, გაუმჯობესდა მისი მდგომარეობა.

## X.

სააღსრულებო ფურცლის გაუქმებას ითხოვს მოსარჩელე (სააღსრულებო ფურცელი სამოქალაქო საქმეზე იქნა გამოწერილი). მოპასუხედ დასახელებულია სააღსრულებო ბიურო. მოსარჩელის არგუმენტი ის, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააღსრულებო ფურცელში რეკვიზიტები სწორედ არ იყო მითითებული. ვისი განსჯადია ხსენებული დავა და საერთოდ, რამდენად არის სასამართლოს ქვემდებარე აღნიშნული საქმე?

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააღსრულებო ფურცელში უნდა აღინიშნოს კრედიტორისა და მოვალის დასახელება და მათი რეკვიზიტები.

გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააღსრულებო ფურცელი, როგორც სააღსრულებო აქტი, ქართული სამართლის, ისევე, როგორც გერმანული სამართლის მიხედვით, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან მას არ ახასიათებს ხსენებული აქტისთვის დამახასიათებელი ნიშნები, პირველ ყოვლისა კი, გამოცემული არ არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (რაც უშუალოდ ანიჭებს აქტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სტატუსს). სააღსრულებო ფურცლის საშუალებით ხდება სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება და ამდენად, სააღსრულებო ფურცელი არის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საშუალება. სასამართლოს მიერ გამოწერილი სააღსრულებო ფურცელი უნდა გაიმიჯნოს სააღსრულებო ორგანოს მიერ მიღებული სააღსრულებო საბუთისაგან.

გამოითქვა ასევე მოსაზრება იმის შესახებ, რომ, ვინაიდან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი დასაშვებად მიიჩნევს მოვალის მიერ სააღსრულებო ფურცელზე სარჩელის აღძვრას, რაც აჩერებს აღსრულებას მითითებულ კანონში აღნიშნული ნორმის არსებობამდე, არ შეიძლება სააღსრულებო ფურცლის გაუქმების მოთხოვნით სასამართლოში აღძრული სარჩელის დაუშვებლად მიჩნევა იმ მოტივით, რომ საქმე არ არის სასამართლოს ქვემდებარე (მოსამართლე ნინო ქადაგიძე).

უმრავლესობამ გამოთქვა აზრი და მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ დაუშვებელია სასამართლოში სარჩელის აღძვრა სააღსრულებო ფურცლის გაუქმების მოთხოვნით (სააღსრულებო საბუთის გაუქმების მოთხოვნისაგან განსხვავებით) და თუ მაინც იქნება ასეთი სარჩელი წარდგენილი სასამართლოში, იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან აღნიშნული სარჩელი არ არის უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარე.

## XI.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 და 35-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო ინსტანციაში ერთპიროვნულად უნდა იქნეს განხილული „სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხები“. ისმება კითხვა: ვრცლად თუ ვიწროდ უნდა იქნეს განმარტებული აღნიშნული დებულება? (შემდეგი მაგალითი მოყვანილია კონკრეტული საქმიდან: მოსარჩელემ მოითხოვა დაევალოს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, გაავრცელოს მოსარჩელეზე „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები და დაენიშნოს მას სამისდღემშიო პენსია, აგრეთვე – საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის დასკვნის ბათილად ცნობა (ამ უკანასკნელის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი მოკვლევის (მოძიების) საფუძველზე მოსარჩელეს უარი ეთქვა პირველი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე)). საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 და 35-ე მუხლების თანახმად, როგორ უნდა იქნეს განხილული აღნიშნული საქმე – ერთპიროვნულად თუ კოლევითურად?

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლში რეგლამენტირებულია მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. ხსენებული მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლში მოცემულია ამავე კოდექსის გარდამავალი დებულებანი, კერძოდ, ამ მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 2006 წლის 1 ივნისამდე შეტანილი სააპელაციო საჩივრის განხილვა ხდება ერთპიროვნულად სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის მიერ ამავე ნაწილში ამომწურავად ჩამოთვლილი კატეგორიების საქმეებზე, მათ შორის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საქმეზე გამოტანილ, ანუ მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯად ადმინისტრაციულ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

გამოითქვა მოსაზრება, რომ სოციალურ საკითხებს განეკუთვნება მოთხოვნა პენსიასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ შეჯერდა აზრი იმის თაობაზე, რომ ჩვეულებრივი საპენსიო დავა განხილულ უნდა იქნეს ერთი მოსამართლის მიერ, ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი საპენსიო დავა (მაგალითად, ადმინისტრაციული დავა მოსარჩელე ადვოკატის ხონიაკინასა და მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს შორის), რომელიც შეეხება სამისდღემშიო პენსიის დანიშნვას და მასზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებას, შეიძლება, ფაქტობრივად, ჰქონდეს პრეცედენტული ხასიათი პენსიის მიღების უფლების მქონე სხვა პირების



სარჩელებთან მიმართებაში და განხილულ იქნეს კოლეგიურად – სამი მოსამართლის მიერ.

## XII.

**პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებს შორის არის არაერთგვაროვანი მოსაზრება იმის შესახებ, საგადასახადო შემოწმების აქტი და საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი არის თუ არა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები?**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო შემოწმების შედეგების შესახებ დგება აქტი. ამავე კოდექსის 127-ე მუხლი ითვალისწინებს საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ საქმის წარმოებას, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საგადასახადო ინსპექციის უფლებამოსილი პირი გადასახადის გადამხდელთან/სხვა ვალდებულ პირთან ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას (გარდა საგადასახადო შემოწმების დროს გამოვლენილი სამართალდარღვევებისა) ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, საგადასახადო შემოწმებისას გამოვლენილი სამართალდარღვევები აღინიშნება საგადასახადო შემოწმების აქტში (ამ შემთხვევაში არ დგება საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი), რომელშიც აისახება ყველა საგადასახადო სამართალდარღვევის შინაარსი.

გამოითქვა მოსაზრებები და შეჯერდა აზრი იმის თაობაზე, რომ საგადასახადო შემოწმების აქტისა და საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევა დამოკიდებულია მათ ფაქტობრივ შინაარსსა და მიმართებაზე, კერძოდ, თუ აღნიშნულ აქტებში მითითებულია, რომ პირს ეკისრება ამა თუ იმ თანხის გადახდა (რაც შეიძლება დასტურდებოდეს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის დანართითაც – მასზე დართული შესაბამისი წერილით), ანუ თუ ხსენებული აქტები შეიცავს პირის კონკრეტულ საგადასახადო ვალდებულებაზე პირდაპირ მითითებას, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება ისინი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებად (ადასტურებს პირის კონკრეტულ მოვალეობას).

იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო შემოწმების აქტსა და საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმში განყენებულად არის მოცემული ინფორმაცია საგადასახადო ორგანოსთან პირის მიმდინარე საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობების მდგომარეობაზე ამა თუ იმ ასპექტით და ჩამოთვლილია ის დავალიანებები, რომლებიც არ არის გადახდილი პირის მიერ, ანუ თუ მათში მოცემულია მხოლოდ კონკრეტული ინფორმაცია და აქცენტი არ არის გაკეთებული პირის კონკრეტულ ვალდებულებაზე, მაშინ იქნება არა ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტი, არამედ შიდაუწყებრივი გამოყენებისათვის გამიზნული, ინფორმაციული დატვირთვის მქონე დოკუმენტი.

### XIII.

საგადასახადო ორგანო შუამდგომლობით ითხოვს მოსამართლის ბრძანების გაცემას მეწარმის საქმიანობის შემოწმების მიზნით, იმავდროულად, შუამდგომლობაში მიუთითებს, რომ ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში დაწყებულია წინასწარი გამოძიება, ამასთან, გამოძიებლის დადგენილების სარეზოლუციო ნაწილში ჩაწერილია, რომ „სისხლის სამართლის საქმეზე დაინიშნოს ინდმეწარმის შემოწმება და ჩატარდეს რევიზია. რევიზიის ჩატარება დაევალოს თბილისის საგადასახადო ინსპექციას“. მსგავს საქმეებთან დაკავშირებით მოსამართლეებს აინტერესებდათ ორი საკითხი: 1) თუ არსებობს გამოძიებლის დადგენილება, რომელიც საგადასახადო ორგანოს ავალებს მეწარმის შემოწმებას, ამ შემთხვევაში მაინც აუცილებელია თუ არა მეწარმის შემოწმების თაობაზე მოსამართლის ბრძანების არსებობა? 2) თუ მითითებულ შემთხვევაში აუცილებელია მოსამართლის ბრძანების აღება, მაშინ ვის აქვს სასამართლოში მეწარმის შემოწმების თაობაზე ბრძანების მისაღებად შუამდგომლობის დაყენების უფლება – საგადასახადო (მაკონტროლებელ) ორგანოს თუ საგამოძიებო ორგანოს, ე.ი. ვინ არის მეწარმის საქმიანობის შემოწმების მოთხოვნის სუბიექტი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58.5 მუხლი, საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლი)?

1) მოსამართლეები ერთმნიშვნელოვნად შეჯერდნენ იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა გამოძიებლის დადგენილება მეწარმის შემოწმების თაობაზე, ყველა შემთხვევაში აუცილებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მეწარმის შესამოწმებლად. მხოლოდ გამოძიებლის დადგენილება არ არის საკმარისი. მოსამართლეებმა მიუთითეს, რომ გამოძიებლის დადგენილება მეწარმის შემოწმებაზე არის მხოლოდ ვალდებულება საგადასახადო ორგანომ დაიწყოს შემოწმება, მაგრამ მეწარმის შემოწმების კანონიერი საფუძველი არის მხოლოდ მოსამართლის ბრძანება. მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზეც, რომ სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას ბრძანების გაცემაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ მეწარმის შემოწმების თაობაზე უკვე არსებობს გამოძიებლის დადგენილება.

2) საგამოძიებო მოქმედებების წარმოების დროს ვის აქვს სასამართლოში მეწარმის შემოწმების თაობაზე შუამდგომლობის დაყენების უფლება – საგადასახადო ორგანოს თუ საგამოძიებო ორგანოს? ამასთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილდა და აზრი შეჯერდა ორ გარემოებაზე: ა) თუ დაწყებულია წინასწარი გამოძიება და არსებობს გამოძიებლის დადგენილება მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ, მაშინ სასამართლოში ბრძანების ასაღებად შუამდგომლობის დაყენების

უფლება აქვს მხოლოდ საგამოძიებო ორგანოს და არა საგადასახადო ორგანოს. ამდენად, ამ შემთხვევაში მოსამართლე საგამოძიებო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, მეწარმის შემოწმებას ბრძანებით დაავალებს მხოლოდ საგადასახადო (მაკონტროლებელი) ორგანოს და არა საგამოძიებო ორგანოს. თუ სასამართლოში ბრძანების მისაღებად საგამოძიებო ორგანოს ნაცვლად შეცდომით შედის მაკონტროლებელი (საგადასახადო) ორგანო, მაშინ სასამართლომ მითითება უნდა მისცეს მას იმის თაობაზე, რომ შუამდგომლობა შეიტანოს შესაბამისმა საგამოძიებო ორგანომ; ბ) მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზეც, რომ თუ მაკონტროლებელი (საგადასახადო) ორგანო შუამდგომლობით შედის სასამართლოში „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონის (და არა საგამოძიებო ორგანოს დავალების) საფუძველზე და აცხადებს, რომ მას თვითონ აქვს საფუძვლიანი ეჭვი მეწარმის საქმიანობასთან დაკავშირებით, მაშინ ასეთ შემთხვევებში საგადასახადო ორგანოს აქვს უფლება თვითონ მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით მოსამართლის ბრძანების გაცემის თაობაზე.

#### XIV.

შეიარაღებული ძალების რიგებიდან სამხედრო მოსამსახურეების დათხოვნისას შეჩერებული იყო იმ ნორმის მოქმედება, რომელიც მოსამსახურეს აძლევდა ერთდროული დახმარების მიღების უფლებას. მოსამართლეებს აინტერესებდათ, რომ იმ პირებზე, რომლებიც დაითხოვეს იმ პერიოდში, როდესაც ხსენებული ნორმა არ მოქმედებდა (შეჩერებული იყო), უნდა გაიცეს თუ არა ერთდროული დახმარება? მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზე, რომ მოცემულ საკითხზე მსჯელობისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, საკითხი ეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებს.

მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზე, რომ თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეებისათვის ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების მიცემის საკითხი უნდა გადაწყდეს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულების საფუძველზე, რომლის 33-ე პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო, ნამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურები წლებისა) მიხედვით (მათ შორის, ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები წლების ჩათვლით), ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამავე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით. ზემოხსენებული ბრძანებულების

33<sup>1</sup>-ე პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურები წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები წლების ჩათვლით), ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით.

მოსამართლეებმა ყურადღება მიაქციეს ზემოაღნიშნული ბრძანებულების 61<sup>1</sup>-ე პუნქტს, რომლის მიხედვით, ამ ბრძანებულების 33<sup>1</sup>-ე პუნქტის მოქმედება შეჩერებული იყო 2006 წლის 1 იანვრამდე. ამასთან დაკავშირებით, მოსამართლეებმა განმარტეს, რომ ამა თუ იმ ნორმის მოქმედების ვადის გარკვეული დროით გადაწევა არ ნიშნავს ხსენებული ნორმის აბსოლუტურ უმოქმედობას და მის გაუქმებას, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა აღნიშნულს არ ითვალისწინებს, კერძოდ, იურიდიული თვალსაზრისით, არ არსებობს აბსოლუტურად უმოქმედო ნორმა. მართალია, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულების 61<sup>1</sup>-ე პუნქტის საფუძველზე შეჩერებულ იქნა ამ ბრძანებულების 33<sup>1</sup>-ე პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების მიღების უფლების რეალიზაცია 2006 წლის 1 იანვრამდე, მაგრამ არ გაუქმებულა ხსენებული ბრძანებულებით განსაზღვრული და დადგენილი ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემის პირობა და წესი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის მითითებული ბრძანებულების საფუძველზე, ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება უნდა მიეცეთ არა მხოლოდ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც სამსახურიდან დათხოვნილ იქნენ 2006 წლის 1 იანვრის (კომპენსაციის თაობაზე შეჩერებული ნორმის ამოქმედების) შემდეგ, არამედ კომპენსაცია უნდა მიეცეთ იმ სამხედრო მოსამსახურეებსაც, რომლებიც დათხოვნილ იქნენ 2006 წლის 1 იანვრამდეც (ე.ი. ნორმის შეჩერების პერიოდში).

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებისათვის ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების მიცემის საკითხს, მოსამართლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“. მითითებული ბრძანებულების მე-11 პუნქტის მიხედვით, სამინისტროს მოსამსახურეს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურისა),

რომელიც დათხოვნილია ზღვრული ასაკის მიღწევის, ავადმყოფობის, ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო, სამინისტროში ნამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურები წლებისა) მიხედვით მინისტრის სამართლებრივი აქტით ეძლევა ერთდროული (გასასვლელი) დახმარება, ხოლო ამავე ბრძანებულების მე-12 პუნქტის მიხედვით, სამინისტროს მოსამსახურეს, რომელიც დათხოვნილია პირადი განცხადების საფუძველზე და ნამსახურები აქვს არანაკლებ 10 წლისა, ეძლევა ერთდროული (გასასვლელი) დახმარება 400 ლარის ოდენობით. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების 26-ე პუნქტში 2006 წლის 19 ოქტომბერს შევიდა ცვლილება, რომლითაც ამავე ბრძანებულების მე-11 და მე-12 პუნქტების (რომლებიც ეხება შსს სამინისტროს მოსამსახურეების დათხოვნისას მათთვის ერთდროული (გასასვლელი) დახმარების მიცემას) ამოქმედება გადაიდო 2008 წლის 1 იანვრამდე. ამრიგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებისათვის ერთდროული (გასასვლელი) დახმარების მიმნიჭებელი ნორმა ამჟამად შეჩერებულია და ჯერ არ ამოქმედებულა.

## XV.

მოსამართლეებმა წამოჭრეს საკითხი იმის თაობაზე, რომ თუ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს დადგა მხარეთა უფლებამონაცვლეობის საკითხი, მაშინ აღმასრულებელს შეუძლია თუ არა სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე თვითონ მოახდინოს გადაწყვეტილების აღსრულება უფლებამონაცვლე მხარეების გათვალისწინებით?

მოსამართლეებმა მიუთითეს, რომ თუ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს დადგა უფლებამონაცვლეობის საკითხი და უფლებამონაცვლე მხარე ან სააღსრულებო ბიურო სადავოდ არ ხდის უკვე გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესრულებას, ამასთან, უფლებამონაცვლეობა კანონის თანახმად დასაშვებია, მაშინ აღსრულების პრობლემა არ დგას და აღმასრულებელს შეუძლია თვითონ განახორციელოს აღსრულება უფლებამონაცვლე მხარის გათვალისწინებით.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში, თუ აღსრულების სტადიაზე დადგება უფლებამონაცვლეობის საკითხი და უფლებამონაცვლე მხარე (თუნდაც უფლებამონაცვლეობა ეჭვს არ იწვევდეს) უარს აცხადებს სააღსრულებო ფურცლის შესრულებაზე. როგორ უნდა მოიქცეს აღმასრულებელი ამ შემთხვევაში – თვითონ დაადგინოს უფლებამონაცვლე და დაიწყოს აღსრულება, თუ იგი ვალდებულია უფლებამონაცვლის დადგენისა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს?

მოსამართლეები ერთმნიშვნელოვნად შეთანხმდნენ იმაზე, რომ თუ აღსრულების დროს დადგა უფლებამონაცვლეობის საკითხი, მაგრამ უფლებამონაცვლე უარს აცხადებს სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე, მაშინ აღმასრულებელი ვალდებულია ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით მიმართოს სააღსრულებო ფურცლის გამცემ სასამართლოს, რომელიც განჩინებით დაადგენს ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემას შესაბამისი უფლებამონაცვლის მიმართ, ვინაიდან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამოწმა ნოტარიუსმა. აღმასრულებელს არა აქვს უფლება თვითონ დაადგინოს უფლებამონაცვლე, ვინაიდან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, აღმასრულებელი, როგორც წესი, მოქმედებს მხოლოდ სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცელს გასცემს მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილი სასამართლო.

აქვე დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ მითითებულ შემთხვევაში რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს აღმასრულებელმა – მან სარჩელით უნდა მიმართოს პირველი ინსტანციის სასამართლოს და ჩვეულებრივი სასარჩელო წარმოების წესით მოითხოვოს უფლებამონაცვლის დადგენა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა, თუ მან განცხადებით უნდა მიმართოს სააღსრულებო ფურცლის გამცემ სასამართლოს და მოითხოვოს ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა? მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზე, რომ ასეთ შემთხვევებში აღმასრულებელმა განცხადებით უნდა მიმართოს იმავე სასამართლოს, რომელმაც სააღსრულებო ფურცელი გასცა და იმავე სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება, რომლის საფუძველზეც მოხდება უფლებამონაცვლის მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაცემა. ამასთან, დაუშვებელია სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით პირველი ინსტანციის სასამართლოში სასარჩელო განცხადების შეტანა და საქმის სასარჩელო წარმოების წესით განხილვა, ვინაიდან სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნა არ შეიძლება იყოს სასამართლოში სარჩელის აღძვრისა და სასარჩელო წარმოების საგანი.

## XVI.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და

უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. მოსამართლეებს აინტერესებდათ საკითხი იმის შესახებ, აქ ლაპარაკია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ წერილობითი უარის აუცილებლობის შესახებ? დასაშვებობის სავალდებულო პირობას ასეთი სარჩელების მიმართ წარმოადგენს სარჩელის აღძვრამდე ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვა და აღნიშნული მიმართვის დაკმაყოფილებაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უარის თქმა. ამ საკითხზე მსჯელობისას მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზე, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დავის საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი უარი ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემის ვადის დარღვევაც, ანუ დადგენილ ვადაში ადმინისტრაციული აქტის გამოუცემლობა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177 მუხლის მე-2 ნაწილი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილი). რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადის საკითხს, ანუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში უარის გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადის ათვლის საკითხს, აღნიშნულ საკითხზე საბოლოო შეთანხმება მოსამართლეებს შორის ვერ შედგა.

## XVII.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული დადგენილება (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) საჩივრდება 10 დღეში (მუხლი 273). მოსამართლეებმა დასვეს საკითხი იმის შესახებ, ასეთ შემთხვევებში დასაშვებია თუ არა გამოყენებული იქნეს დადგენილებათა გასაჩივრების მიმართ 1 თვიანი ვადა? მოსამართლეებს შორის შეჯერდა აზრი იმაზე, რომ თუ პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დროს დაჯარიმდა დადგენილების ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, მაშინ თვითონ ეს პირი წყვეტს დადგენილების (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) გასაჩივრების რომელი ფორმა გამოიყენოს – მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სასარჩელო განცხადების საფუძველზე თუ მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრით. გასაჩივრების ფორმის არჩევა პირის უფლებაა, მაგრამ მითითებულ შემთხვევებში გასაჩივრების განსხვავებული ვადებია დადგენილი. თუ პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილ დადგენილებას (სამართალდარღვევის ოქმს) ასაჩივრებს საერთო სასარჩელო განცხადების საფუძველზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, მაშინ მან დადგენილება (სამართალდარღვევის ოქმი) უნდა გაასაჩივროს ერთი თვის ვადაში. თუ პირი დადგენილებას (სამართალდარღვევის ოქმს) ასაჩივრებს ადმინისტრაციული

სამართალდარვევის კოდექსის 273-ე მუხლის საფუძველზე, მაშინ გასაჩივრების ვადა არის 10 დღე.

### XVIII.

მოსამართლეების მიერ დაისვა საკითხი იმის შესახებ, სარჩელის გამოხმობის შემდეგ (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლი) როგორ უნდა გადაწყდეს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები ადმინისტრაციულ პროცესში?

უპირველეს ყოვლისა, მოსამართლეები შეთანხმდნენ, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს სარჩელის გამოხმობა დასაშვებია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოებში, ხოლო სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სარჩელის გამოხმობა დაუშვებელია. მოსამართლეებმა მიუთითეს, რომ სსსკ-ის 83<sup>1</sup> მუხლის გამოყენებით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სამოქალაქო სამართალწარმოების მსგავსად სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, ხოლო ამავე კოდექსის 277-ე მუხლის მიხედვით, სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება. მოსამართლეებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლზე, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან. ხოლო ამავე კოდექსის 141-ე მუხლის მიხედვით, თუ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.

ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, დაისვა საკითხი იმის შესახებ, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ყველა შემთხვევაშია თუ არა დასაშვები სარჩელის გამოხმობა და სხვადასხვა კატეგორიის დავებზე სარჩელის გამოხმობის შემთხვევებზე ვადები ერთნაირად უნდა გაორცილდეს? პირველ რიგში, მოსამართლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ, ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინებით გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, ხოლო აღნიშნული კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლი მოსარჩელეს აძლევს სარჩელის გამოხმობის უფლებას, ამიტომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაშიც მოსარჩელეს ვერ აეკრძალება სარჩელის გამოხმობის უფლება. ე.ი. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სარჩელის გამოხმობა დასაშვები უნდა იყოს ყველა კატეგორიის საქმეებზე.

რაც შეეხება ვადებს, მოსამართლეები შეჯერდნენ შემდეგზე: ა) თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს სასარჩელო დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა, მაშინ ასეთი კატეგორიის დავებზე შესაძლებელი უნდა იყოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის



გამოყენება და პირს უნდა შეეძლოს 6 თვის ვადაში ახალი სარჩელის შეტანა, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში აღიარებითი სარჩელებისა და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების გასაჩივრების მიმართ ვადებს არ ითვალისწინებს, ე.ი. ადმინისტრაციული ხელშეკრულების გასაჩივრების მიმართ კანონით შემცირებული ვადები არ არის დაწესებული; ბ) მოსამართლეები ასევე შეთანხმდნენ, რომ თუ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასარჩელო დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, მაშინ ასეთ შემთხვევებში მიზანშეუწონელია და სარჩელის გამოხმობის შემდეგ არ უნდა ხდებოდეს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გასაჩივრების 6-თვიანი ვადის გავრცელება, ვინაიდან ადმინისტრაციული კანონმდებლობა ადმინისტრაციული აქტების გასაჩივრების მიმართ შემოკლებულ ვადებს ითვალისწინებს. ამიტომ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის გამოხმობის დროს სარჩელის ხელმეორედ შეტანის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად არ ჩაითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან.

## XIX.

დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ, როდესაც ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული აქტი საჩივრდება არასათანადო მოსარჩელის მიერ, ასეთ შემთხვევაში მოსამართლემ დაუშვებლობის მოტივით უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება თუ არასათანადო მოსარჩელე შეცვალოს სათანადო მოსარჩელით. მოსამართლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ მოცემული საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ რას ეხება დავის საგანი – ადმინისტრაციულ აქტს თუ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

თუ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სარჩელის დასაშვებობის სტადიაზე დავის საგანი ეხება ადმინისტრაციულ აქტებს და სახეზეა არასათანადო მოსარჩელე, მაშინ ასეთ შემთხვევაში მისი შეცვლა სათანადო მოსარჩელით არ შეიძლება და მოსამართლე ვალდებულია საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით შეწყვიტოს. მოსამართლეებმა ყურადღება გაამახვილეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელის მიღებიდან ორი კვირის ვადაში განმწესრიგებელ სხდომაზე სასამართლო, მხარეთა მონაწილეობით, განიხილავს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელების დასაშვებობის საკითხს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლებით გათვალისწინებული სარჩელების დაშვების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მის გამოცემაზე უარის თქმა ან

ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება (უმოქმედობა) პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავდეს მას. ამრიგად, თუ ადმინისტრაციული აქტის თაობაზე სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, ვისაც პირდაპირი და უშუალო ზიანი მიაღვა (ე.ი. არასათანადო მოსარჩელის მიერ), მაშინ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო ვალდებულია სარჩელის დასაშვებობის სტადიაზე დაუშვებლობის მოტივით შეწყვიტოს საქმის წარმოება და ასეთ შემთხვევაში მას უფლება არა აქვს არასათანადო მოსარჩელე შეცვალოს სათანადო მოსარჩელით.

განსხვავებულად გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც დავის საგანი ეხება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. მოსამართლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებზე არ ტარდება ამავე კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული განმწესრიგებელი სხდომა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების თაობაზე შეტანილი სარჩელების დასაშვებობის საკითხი არ იხილება, ამიტომ მოსამართლეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, არასათანადო მოსარჩელე შეცვალოს სათანადო მოსარჩელით.

## XX.

მოსამართლეებმა დასვეს საკითხი იმის შესახებ, რომ თუ სასამართლო სხდომის ოქმი არ არის ხელმოწერილი იმ მდივნის მიერ, რომელიც მონაწილეობდა ბოლო სასამართლო სხდომაზე (მხარე ეჭვის ქვეშ არ აყენებს პროცესის ჩატარებას და მასში დაფიქსირებულ პროცესის მიმდინარეობის რეალობას), ასევე, თუ სასამართლოში მხარემ შეამცირა სარჩელი ან რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნიდან უარი განაცხადა ზოგიერთ მათგანზე, მაგრამ სასამართლოს სათანადო პროცესუალური აქტით (განჩინებით) არ დაუფიქსირებია ეს, ასეთ შემთხვევებში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, ეს არის თუ არა პროცესუალური დარღვევების დამატებითი კრიტერიუმები, რომელიც იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას?

მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზე, რომ თუ სასამართლო სხდომის ოქმი საერთოდ არ არის ხელმოწერილი მდივნის მიერ (თუნდაც ეს ტექნიკური ხარვეზი იყოს), ან ხელმოწერილია იმ მდივნის მიერ, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია ამ ოქმის შედგენაში, მაშინ ეს განიხილება ისეთ შემთხვევად, როდესაც საქმეში სხდომის ოქმი საერთოდ არ არსებობს და ეს არის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

მოსამართლეები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ თუ მხარემ საქმის ზეპირი განხილვისას უარი თქვა სარჩელზე და ეს დაფიქსირებულია სხდომის ოქმში, მაშინ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სავალდებულოა განჩინების (საოქმო

განჩინების) გამოტანა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. კარგი იქნებოდა, რომ საქმეში არსებობდეს მოსარჩელის წერილობითი უარი სარჩელზე, რაც თავიდან აგვაცილებდა გაუგებრობას. ამასთან, სასამართლო ვალდებულია მხარეს დააკონკრეტებინოს, იგი უარს ამბობს სარჩელის ნაწილზე, ამცირებს სარჩელის მოთხოვნის ოდენობას თუ უბრალოდ, აზუსტებს სარჩელს. ეს აუცილებელია, ვინაიდან სარჩელის დაზუსტებას არ სჭირდება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების გამოტანა. იმ შემთხვევაში, როდესაც სხდომის ოქმში მითითებულია, რომ მოსარჩელემ შეამცირა სარჩელი, ან რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნიდან უარი თქვა ზოგიერთზე, მაგრამ საოქმო განჩინება საქმეზე წარმოების შეწყვეტის თაობაზე არ არსებობს და არც მოსარჩელე ეთანხმება მის მიერ სარჩელზე უარის თქმას, მაშინ სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს მოსარჩელის მოთხოვნებზე სრულად.

## XXI.

მოსამართლეებმა წამოჭრეს საკითხი იმის შესახებ, როგორ უნდა მოხდეს მიწის გადასახადის დარიცხვის წესი და გადახდევინება. ე.ი. მიწის გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში რა დროიდან ითვლება საგადასახადო ვალდებულება შეუსრულებლად და რა დროიდან უნდა მოხდეს საურავის დარიცხვა? მოსამართლეები ერთმნიშვნელოვნად შეთანხმდნენ იმაზე, რომ გადასახადის გადამხდელისათვის მიწის გადასახადის გადახდის ვალდებულება და შესაბამისად, საურავის გადახდის ვალდებულებაც წარმოიშევა საგადასახადო ორგანოსაგან შესაბამისი შეტყობინების მიღების მომენტიდან. ეს განპირობებულია იმით, რომ შეიძლება პირი უარს არ ამბობდეს და თანახმა იყოს მიწის გადასახადის გადახდაზე, მაგრამ მან არ იცოდეს, თუ როდის, სად და რა რაოდენობით უნდა გადაიხადოს გადასახადი. როდესაც პირს საგადასახადო ორგანოდან მიუვა შეტყობინება გადასახადის გადახდის დროის, ადგილისა და გადასახადის რაოდენობის შესახებ, სწორედ ამ მომენტიდან წარმოეშევა მას გადასახადის გადახდის ვალდებულება და შესაბამისად, ამ მომენტიდან დაიწყება გადასახადის გადაუხდელობისათვის საურავის დარიცხვაც.

## XXII.

პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების ხანდაზმულობის ვადა არის 3 წელი. პრივატიზების პროცედურა იწყება ქონების საპრივატიზებო ნუსხაში შეტანით და მთავრდება საკუთრების მოწმობის გაცემით. შუალედში გამოიცემა სხვადასხვა აქტები, მაგალითად: ქონების ნუსხაში შეტანა, აუქციონის ან კონკურსის თაობაზე გაზეთში გამოქვეყნება, აუქციონის ან კონკურსის შედეგების ოქმი და სხვა. მოსამართლეებს აინტერესებდათ საკითხი იმის შესახებ, რომ, როდესაც პრივატიზაციის საქმეებზე სარჩელი შემოსულია რომელიმე ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან საკუთრების

დამადასტურებელი მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნით, აღნიშნულზე უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ერთოვიანი ვადა თუ 3 წლიანი ვადა და საიდან უნდა იქნეს ეს ვადა ათვლილი?

მოსამართლეებმა მიუთითეს, რომ პრივატიზაცია არის ერთიანი პროცესი, რომელიც შედგება სხვადასხვა სტადიისაგან, მაგალითად, ინფორმაციის გამოქვეყნება პრივატიზაციის თაობაზე, პირის გამარჯვებულად გამოცხადება (აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა), აუქციონში გამარჯვებულთან პრივატიზაციის ხელშეკრულების (ადმინისტრაციული ხელშეკრულების) დადება და სხვა. მოსამართლეები ერთმნიშვნელოვნად შეჯერდნენ იმაზე, რომ პრივატიზაციის დაგეგმვის დროს, ყველა შემთხვევაში, მათ შორის, საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ დაგეგმვაც, უნდა გავრცელდეს არა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ერთოვიანი ვადა, არამედ „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, ვინაიდან აღნიშნული ნორმის მიხედვით: „პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი“.

საიდან უნდა მოხდეს ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის ათვლა? შეჯერება მოხდა იმაზე, რომ თუ საჩივრდება პრივატიზაციის ცალკეული ეტაპი, მაშინ ვადის ათვლა დაიწყება შესაბამისი ეტაპის დასრულების მომენტიდან. მაგალითად, თუ მხარეები დავობენ მხოლოდ პრივატიზაციის ხელშეკრულებაზე, მაშინ ხელშეკრულების დადების მომენტიდან აითვლება ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა.

პრივატიზაციის თაობაზე მსჯელობისას მოსამართლეებმა მიუთითეს, რომ თუ აუქციონის ან კონკურსის ჩატარების შემდეგ გამარჯვებულთან დაიღო პრივატიზაციის ხელშეკრულება, მაგრამ სასამართლოს მიერ ბათილად გამოცხადდა ხელშეკრულების დადებაზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (მაგალითად, პირის გამარჯვებულად გამოცხადება და ა.შ.), მაშინ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, პრივატიზაციის ხელშეკრულებაც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

### XXIII.

დაისვა საკითხი იმის შესახებ, აღმასრულებლის მიერ აუქციონის ჩატარებისას ოქმის და განკარგულების გასაჩივრებისას გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი ერთოვიანი ვადა და შესაბამისად, აქტის ჩაბარებად მიჩნეულ იქნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლით დადგენილი წესი, თუ გასაჩივრების ვადა განისაზღვროს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით და ვადის ათვლის მომენტად მიჩნეულ იქნეს ამავე

მუხლით დადგენილი წესი (როდესაც მხარისთვის ცნობილი გახდა ან უნდა გამხდარიყო მისი უფლების დარღვევის შესახებ)?

გამოითქვა მოსაზრება, რომ, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება სასამართლოს მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების საკითხებზე, ამიტომ აღმასრულებლის მიერ აუქციონის ჩატარების შესახებ ოქმისა და განკარგულების გასაჩივრებისას გამოყენებულ უნდა იქნეს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლი და ვადის ათვლის მომენტად მიჩნეულ იქნეს ამავე მუხლით დადგენილი წესი – როდესაც მხარისთვის ცნობილი გახდა ან უნდა გამხდარიყო მისი უფლების დარღვევის შესახებ.

მოსამართლეებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით დადგენილი წესი და ხანდაზმულობის 1 თვიანი ვადა გამოიყენება მაშინ, როდესაც აუქციონს ესწრებოდნენ კრედიტორი და მოვალე და რომელიმე მათგანი ასაჩივრებს აუქციონის შედეგებს. თუ მესამე პირი ასაჩივრებს აუქციონის შედეგებს და ითხოვს მისი კუთვნილი ნივთების ამორიცხვას აუქციონზე გატანილი ქონების სიიდან, მაშინ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის საფუძველზე, ამ შემთხვევაში მოპასუხეა არა სააღსრულებო ბიურო, არამედ კრედიტორი და მოვალე. შესაბამისად, მოცემული დავა იქნება არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი.

#### XXIV.

„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დაჯარიმებისა და მშენებლობის დანგრევის თაობაზე მიღებული დადგენილების აღსრულების რაიმე საშუალებას აღნიშნული კანონი არ ითვალისწინებდა, რის გამოც ზედამხედველობის სამსახური მიმართავდა სასამართლოს. კანონში შესული ცვლილებებით დაჯარიმების, დანგრევის და ამ აქტების აღსრულების პროცედურების განხორციელების ნება დაერთო ზედამხედველობის სამსახურს. უკვე აღძრული სარჩელები შეწყვეტილ იქნა, რადგან დავა განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას (სსკ 272 მუხლი). სააპელაციო სასამართლომ შეწყვეტის განჩინების გაუქმების საფუძველად მიუთითა სამართალდამრღვევი პირის ახალი კანონით პასუხიმგებლობის დამძიმებაზე. დღეს მოქმედი სამართლებრივი ნორმა არ ითვალისწინებს სარჩელში მითითებული საფუძველით დავის გადაწყვეტას. როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო ამ შემთხვევაში – შეწყვიტოს „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანამდე სასამართლოში აღძრულ სარჩელებზე წარმოება და დაჯარიმებისა და დემონტაჟის საკითხი დამოუკიდებლად

გადაწყვიტონ შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა თუ გააგრძელოს საქმის წარმოება და თვითონ სასამართლომ დაავალოს (ან არ დაავალოს) შესაბამის ორგანოებს დემონტაჟი და დააკისროს პირებს ჯარიმა?

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ თუ სარჩელი შეტანილია სასამართლოში უკანონო მშენებლობის დემონტაჟისა და დაჯარიმების თაობაზე „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ, მაშინ სასამართლო სარჩელს არ დაუშვებს, როგორც სასამართლოს არაქვემდებარეს, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით უკანონო მშენებლობის დემონტაჟსა და დაჯარიმებას ახდენენ თვითონ სახელმწიფო არქიტექტურული ორგანოები და არა სასამართლო.

მაგრამ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც კანონში ცვლილებების შეტანამდე მოხდა სასამართლოში სარჩელების შეტანა და საქმეები ჯერ განხილული არ არის? საბოლოოდ მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზე, რომ თუ სასამართლოში კანონის ძველი რედაქციის საფუძველზე შეტანილია სარჩელები უკანონო დემონტაჟისა და დაჯარიმების თაობაზე, მაშინ საქმის განხილვა უნდა გაგრძელდეს, სასამართლომ იმსჯელოს დემონტაჟისა და ჯარიმის დაკისრების კანონიერებაზე და შემდეგ დაავალოს (ან არ დაავალოს) არქმშენინსპექციას დემონტაჟის განხორციელება. მოსამართლეებმა განმარტეს, რომ, მართალია, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის (ახალი რედაქცია) მე-4<sup>1</sup> მუხლის მიხედვით უკანონო მშენებლობის დემონტაჟის უფლება თვითონ არქიტექტურულ ორგანოებს გააჩნიათ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძველი საქმეების შეწყვეტა გამოიწვევს მოქალაქეთა უფლებების დარღვევას, ვინაიდან სასამართლოში სარჩელის შეტანის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით, მოქალაქეებს ჰქონდათ უფლება სარჩელი შეეტანათ სასამართლოში, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა დემონტაჟის კანონიერებისა და შესაბამისად, მათი დარღვეული უფლებების აღდგენის საკითხი. გარდა ამისა, საქმის შეწყვეტის შემთხვევაში მოხდება არქიტექტურული ორგანოების მიერ თავის დროზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (დადგენილებების) ძალაში დატოვება და აღარ იარსებებს მათი აღსრულების მექანიზმი.

მოსამართლეები ასევე შეჯერდნენ, რომ თუ არქიტექტურული ორგანოების მიერ უკანონო მშენებლობისათვის პირს დაეკისრა ჯარიმა და კანონში ცვლილების შეტანამდე სასამართლოში გასაჩივრებულია ჯარიმის დაკისრების კანონიერების საკითხი, კანონის ძველი რედაქციით გათვალისწინებული სანქცია კი არის უფრო მსუბუქი, ვიდრე ახალი რედაქციით, მაშინ გამოიყენება კანონის ძველი რედაქციით გათვალისწინებული უფრო მსუბუქი სანქცია, ხოლო თუ პირიქით, კანონში ცვლილების შეტანის შემდეგ მიღებული ახალი ნორმა ითვალისწინებს უფრო მსუბუქ სანქციას, ვიდრე პირს დადგენილებით

აქვს შეფარდებული, მაშინ გამოიყენება ახალი ნორმით დადგენილი უფრო მსუბუქი სანქცია.

## XXV.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „უ“ ქვეპუნქტით, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოდის გადაწყვეტილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სკოლები და ა.შ.) წინააღმდეგ, უნდა დაეკისროთ თუ არა მათ სახელმწიფო ბაჟის გადახდა? ვინ უნდა დაასაბუთოს, აქვს თუ არა კონკრეტულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს დამოუკიდებელი შემოსავალი?

მოსამართლეები შეჯერდნენ, რომ თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირის დებულებიდან ან სხვა დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გარდა, სხვა დამატებითი შემოსავლები გააჩნიათ, მაშინ ჩვეულებრივ უნდა დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის გადახდა. თუ დებულება საქმეში არ დევს, მაშინ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სარჩელი ხარვეზზე უნდა იქნეს დატოვებული და მას მიცეს ვადა დებულების წარმოსადგენად. საბოლოოდ, ყველა შემთხვევაში სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს გააჩნია თუ არა დამატებითი შემოსავლები და უნდა დაეკისროს თუ არა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო იმ შემთხვევაში, როდესაც დებულების მიხედვით გათვალისწინებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირის მიერ დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა, მაგრამ რეალურად მას ეს შემოსავლები არ გააჩნია ან ეს შემოსავლები პირდაპირ ირიცხება ბიუჯეტში და შემოსავლებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვერ განკარგავს? ასეთ შემთხვევაში, თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი წერილობით დაასაბუთებს, რომ მას ბიუჯეტიდან დაფინანსების გარდა, სხვა დამატებითი შემოსავლები არ გააჩნია, მაშინ სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს და გაათავისუფლოს ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან. კონკრეტულ შემთხვევაში ეს დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.

რაც შეეხება ეროვნულ ბანკს, კანონმდებლობით იგი პირდაპირ არის გათავისუფლებული სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან.

## XXVI.

ადმინისტრაციულ ორგანოებს უნდა ეხელმძღვანელათ თუ არა სადაო სამართალურთიერთობის დროს მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 36.1 მუხლით (სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლება) იმ კატეგორიის საჯარო მოხელეების მიმართ, რომლებიც წარმოადგენდნენ პროკურატურის, შსს სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს

მოსამსახურეებს, მას შემდეგ, რაც ისინი გადაყვანილ იქნენ კადრების განკარგულებაში (როგორც წესი, 4 თვის გასვლის შემდეგ ისინი ავტომატურად თავისუფლდებოდნენ სამსახურიდან). რამდენად გააჩნდათ ვალდებულება მითითებული უწყებების ხელმძღვანელებს მოცემულ შემთხვევაში გამოეყენებინათ სადავო სამართალურიერთობის დროს მოქმედი შრომის კანონთა კოდექსი, კერძოდ 36.1 მუხლი (სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლება)?

შეჯერდა აზრი იმის შესახებ, რომ, როგორც წესი, პროკურატურის, შსს სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეების რეზერვში გადაყვანისა და სამსახურიდან დათხოვნის დროს მათ მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული შესაბამის პერიოდში მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 36.1 მუხლი (სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლება), ვინაიდან აღნიშნულ პირებზე ვრცელდება სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. შეიძლება ზემოაღნიშნულ პირებს გააჩნდეთ შრომის კანონთა კოდექსის 36.1 მუხლით გათვალისწინებული სამსახურში უპირატესი დარჩენის უფლება, მაგალითად, ჰყავდეთ არასრულწლოვანი შვილები, ჰქონდეთ მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი და ა.შ, მაგრამ ფიზიკური ან სხვა მონაცემების გამო, არ შეესაბამებოდნენ დაკავებულ თანამდებობას და ვერ აკმაყოფილებდნენ შესაბამისი სამსახურისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

## XXVII.

მოსარჩელეს, რომლის სარჩელიც არ დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია მისი ასლის ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში. გადაწყვეტილების ასლი მოგვიანებით ჩაბარდა რა აპელანტის წარმომადგენელს, სააპელაციო საჩივარი, რომელსაც მოსარჩელეც აწერდა ხელს, მან შეიტანა თავისი სახელით. სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა, სსსკ-ის 369-ე მუხლის თანახმად, დაიწყო იმ დროიდან, როდესაც იგი მოსარჩელეს ჩაბარდა. ან პირიქით: იმ პირის სარჩელი, რომელიც საქმეს წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოებდა, სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა წარმომადგენელს, რომელსაც 14 დღის ვადაში გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია. გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი თვის (ან ერთი წლის) შემდეგ მოსარჩელემ სასამართლოში ჩაიბარა გადაწყვეტილების ასლი და 14 დღის ვადაში შეიტანა სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო იმ მოტივით, რომ მის მიერ გაშვებული იყო სააპელაციო საჩივრის შეტანის სსსკ-ის 369-ე მუხლით დადგენილი ვადა. მოსარჩელემ განხილებაზე შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება, იმ მოტივით, რომ, მართალია, იგი საქმეს აწარმოებდა წარმომადგენლის მეშვეობით, მაგრამ სასკ-ის 13.2 მუხლის თანახმად, სასამართლო ვალდებული იყო, გადაწყვეტილების ასლის მისთვის ჩაბარება უზრუნველყო, რაც არ გააკეთა. მას შემდეგ კი, რაც



მიმართა სასამართლოს და გადაწყვეტილების ასლი ჩაიბარა, იგი გაასაჩივრა კიდევ 14 დღის ვადაში.

მოცემულ შემთხვევაში სადავო გახდა საკითხი იმის შესახებ, როდიდან იწყება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლო აქტის გასაჩივრების ვადის დინება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე საქმეს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით და მას მხარის მიერ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს სასამართლო აქტის გასაჩივრების უფლება. ასეთ შემთხვევებში მხარის და მისი წარმომადგენლისათვის სასამართლო აქტის ჩაბარების შემდეგ საიდან უნდა დაიწყოს მისი გასაჩივრების ვადის დინება – პირველი ჩაბარების თუ მეორე ჩაბარების მომენტიდან?

ამ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა ორი მეტად საინტერესო მოსაზრება. მოსამართლეების უმრავლესობამ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად: „თუ მხარე საქმეს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით, ყველა დოკუმენტი ეგზავნება წარმომადგენელს, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დოკუმენტი მხარესაც უნდა გაეგზავნოს“. იმ დოკუმენტთა რიცხვს, რომელიც მხარეს აუცილებლად უნდა გაეგზავნოს, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მიეკუთვნება სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება, განჩინება, ბრძანება, დადგენილება. ამრიგად, ასკ-ის მე-13 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილები პირდაპირ მიუთითებს, რომ სასამართლოს ყველა აქტი უნდა ჩაბარდეს მხარეს, ხოლო თუ მხარე საქმეს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით, მაშინ მხარესთან ერთად წარმომადგენელსაც. აღნიშნული მუხლის მიხედვით მხარისა და მისი წარმომადგენლისათვის სასამართლოს აქტების ჩაბარებას აქვს არა ფორმალური ინფორმაციული ხასიათი, არამედ იგი წარმოშობს სამართლებრივ შედეგს: როგორც მხარეს, ასევე მის წარმომადგენელს დამოუკიდებლად ანიჭებს უფლებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369.1 მუხლით დადგენილ ვადაში და წესით გაასაჩივროს სასამართლო აქტი. აქედან გამომდინარე, თუ პროცესის ერთ-ერთ მონაწილეს (მაგალითად, წარმომადგენელს) ჩაბარდა სასამართლო აქტი და მან დადგენილ ვადაში ეს აქტი არ გაასაჩივრა, მაშინ მეორე სუბიექტს (მხარეს) უფლება აქვს მისთვის ამ აქტის ჩაბარებიდან კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივროს იგი სასამართლოში. ე.ი. ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი პროცესუალური მონაწილის მიერ სასამართლოს აქტის გასაჩივრების ვადის გაშვება არ ართმევს უფლებას მეორე მონაწილეს გაასაჩივროს ეს აქტი კანონით დადგენილ ვადაში. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, სასამართლო აქტის გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება ამ აქტის ბოლო ჩაბარების მომენტიდან. მაგალითად, თუ სასამართლო აქტი ჯერ ჩაბარდა წარმომადგენელს, ხოლო მოგვიანებით მხარეს, მაშინ მხარისათვის გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება მისთვის (და არა წარმომადგენლისათვის) აქტის ჩაბარების მომენტიდან. ასევე მოხდება

პირიქითაც, როდესაც აქტი ჯერ ჩაბარდება მხარეს და შემდეგ - წარმომადგენელს.

მოცემულ შემთხვევაზე მსჯელობისას უდავოდ ანგარიშგასაწევია მეორე მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც მითითებულ საკითხზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებულ მოწესრიგებას და ასკ-ის მე-13 მუხლის სასამართლო აქტების წარმომადგენლისათვის სავალდებულო გადაცემას არ უკავშირებს გასაჩივრების ვადის დინების დაწყებას. ამ საკითხს აწესრიგებს ასკ-ის მე-12 მუხლი, რომლის შესაბამისად გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლოს აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლოს ადგილსამყოფელი, გასაჩივრების წესი და ვადა. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, გასაჩივრების ვადის ათვლისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე და 369.1 მუხლებით, სადაც განმარტებულია, რომ თუ მხარე საქმეს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით, ერთ-ერთი მათგანისათვის – მხარის ან წარმომადგენლისათვის (და არა აუცილებლად ორივესთვის) სასამართლოს აქტების ჩაბარება უკვე იწვევს გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, მხარე და მისი წარმომადგენელი ერთი პროცესუალური მხარეა, მათ მიერ სასამართლო აქტების გასაჩივრების წესი ერთიან სამართლებრივ სივრცეში უნდა იქნეს მოქცეული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაძნელებოდა მხარეთა უფლება-მოვალეობების დროში განსაზღვრა და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის ზუსტი დროის დადგენა. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ გასაჩივრების ვადები აღმკვეთი ხასიათისაა, მკაცრი რეგლამენტაციით გამოირჩევა, მკაცრადაა განსაზღვრული მათი გამოთვლის წესი, რაც განპირობებულია ამ ვადების საპროცესო დანიშნულებით (მათი გაშვება უკავშირდება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას), რის გამოც არ დაიშვება მათი გადავადება, გაგრძელება ან აღდგენა. თუ სასამართლო აქტის გასაჩივრების ვადის დენის დაწყება არ დაუკავშირდება ერთ-ერთი მონაწილისათვის – მხარის ან წარმომადგენლისათვის სასამართლო აქტის ჩაბარებას, ასეთ შემთხვევაში ფაქტობრივად მოხდება ვადის გადავადება, რაც ეწინააღმდეგება აღმკვეთი საპროცესო ვადის არსს, მაშინ, როდესაც ამ ვადის თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი დროში დინება შეჩერებულია და იგი ამოწურავს დროის გასვლის შემდეგ შესასრულებელ ვალდებულებას.

საბოლოოდ უპირატესობა მიენიჭა პირველ მოსაზრებას და მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზე, რომ თუ პროცესის ერთ-ერთ მონაწილეს (მაგალითად, წარმომადგენელს) ჩაბარდა სასამართლო აქტი და მან დადგენილ ვადაში ეს აქტი არ გაასაჩივრა, მაშინ მეორე სუბიექტს (მხარეს) უფლება აქვს მისთვის ამ აქტის ჩაბარებიდან კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივროს იგი სასამართლოში, ე.ი. ერთ-ერთი პროცესუალური მონაწილის მიერ სასამართლო აქტის გასაჩივრების

ვადის გაშვება არ ართმევს უფლებას მეორე მონაწილეს, გაასაჩივროს ეს აქტი კანონით დადგენილ ვადაში და სასამართლო აქტის გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება ამ აქტის ბოლო ჩაბარების მომენტიდან.

## XXVIII.

სააპელაციო პალატამ კერძო საჩივარი განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე, არ დააკმაყოფილა იგი და კერძო საჩივრის ავტორს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დააკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლოს წარუდგინა განცხადება (ან კერძო საჩივარი), რასაც დაურთო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობა და მოითხოვა განჩინების გაუქმება სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში. გასათვალისწინებელია, რომ სსსკ-ის 419.3-ე მუხლის თანახმად მითითებული განჩინება საბოლოოა. როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო ამ შემთხვევაში?

მოცემულ ვითარებაში, ერთი მხრივ, გვაქვს კანონიერ ძალაში შესული განჩინება, რომლითაც პირს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ხოლო, მეორე მხრივ, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. რა პროცესუალური გამოსავალი უნდა მოძებნოს სასამართლომ? ამ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის საფუძველზე ვერ მოხდება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, ვინაიდან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ფაქტი მხარისათვის ცნობილი იყო თავიდანვე და ეს არ არის ახალი გარემოება. ვერ მოხდება ასევე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი ასეთ შემთხვევაში დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. საბოლოოდ, მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზე, რომ ასეთ შემთხვევაში უმჯობესია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის საფუძველზე განჩინებაში შესწორების შეტანა და განჩინებიდან ბაჟის დაკისრების ნაწილის ამოღება. მართალია, ეს არ იქნება განჩინებაში უსწორობის (მექანიკური შეცდომის) გასწორება კლასიკური გაგებით, მაგრამ მხარის კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის გათვალისწინებით, უფრო მიზანშეწონილია საკითხის ამგვარი გადაწყვეტა.

## XXIX.

სააპელაციო სასამართლომ აპელანტს, ფიზიკურ პირ „ა“-ს, რომელიც ინდივიდუალური მეწარმეა, დაუნიშნა ვადა სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად, სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად. ინდივიდუალურმა მეწარმე „ა“-მ სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის

გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ნაცვლად დანიშნულ ვადაში წარუდგინა მისი ინვალიდობის დამადასტურებელი საბუთი და განმარტა, რომ იგი, როგორც ინვალიდი, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. იმ მოტივით, რომ „ა“, მართალია, ინვალიდია, მაგრამ იგი, როგორც ინდივიდუალური მეწარმე, სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან არ თავისუფლდება, სასკის მე-9.4 მუხლის თანახმად, სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა. სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო?

მოცემულ შემთხვევაში გვაქვს კანონთა კოლიზია: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი ინდივიდუალურ მეწარმეს (თუნდაც ინვალიდი იყოს) არ ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლით ინვალიდები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო ამ შემთხვევაში? გამოითქვა მოსაზრება, რომ, მართალია, ინდივიდუალური მეწარმე ფიზიკური პირია, მაგრამ იგი მაინც მეწარმეა და სამეწარმეო საქმიანობიდან იღებს შემოსავალს, ამიტომ იგი (თუნდაც ინვალიდი იყოს) არ უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. გამოითქვა საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, მართალია, ინდივიდუალური მეწარმე სამეწარმეო საქმიანობის დროს იღებს შემოსავალს, მაგრამ იგი მაინც ფიზიკური პირია. გარდა ამისა, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონი ინვალიდს სწორედ ინვალიდობის გამო ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან და ამ შემთხვევაში მის სამეწარმეო საქმიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოცემული საკითხის გადაწყვეტისას „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონი სპეციალური კანონია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსთან შედარებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზე, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ინვალიდ ინდივიდუალურ მეწარმეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ უნდა დაეკისროს.

### XXX.

საგადასახადო შემოწმების საფუძველზე პირის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, იმავდროულად საგადასახადო ორგანომ გამოსცა საგადასახადო მოთხოვნა და ბრძანება. სისხლის სამართლის საქმეზე დადგა განაჩენი (ან საპროცესო შეთანხმება), რომლითაც პირს შეუმცირდა დარიცხული თანხა, მაგრამ საგადასახადო ორგანო კვლავ არიცხავს თავდაპირველ თანხას. პირი ასაჩივრებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საგადასახადო აქტებს და ითხოვს დარიცხული თანხის იმ ოდენობამდე შემცირებას, რომელიც განაჩენით დაუდგინდა. დასაშვებია თუ არა ადმინისტრაციული წესით მათი

გასაჩივრება? სისხლის სამართლის განაჩენს უნდა მიენიჭოს თუ არა პრეიუდიციული ძალა ადმინისტრაციულ საქმეზე?

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზე, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს უნდა მიენიჭოს პრეიუდიციული ძალა იმ ადმინისტრაციული საქმის მიმართ, სადაც იხილება იმ საგადასახადო აქტის საფუძველზე პირისათვის თანხის დაკისრების საკითხი, რომელიც საფუძველად დაედო სისხლის სამართლის საქმეზე ბრალის წაყენებას. მოსამართლეებმა განმარტეს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, მტკიცებას არ საჭიროებს ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი. განაჩენის პრეიუდიციულობის საკითხი დგება იმ საქმეზე, რომლის დავის საგანია იმ პირის მოქმედების სამართლებრივი შედეგები, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი. აქედან გამომდინარე, მსგავს საქმეებზე კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს (საპროცესო შეთანხმებას) აუცილებლად უნდა მიენიჭოს პრეიუდიციული ძალა.

### XXXI.

მოსამართლეებს აინტერესებდათ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი პენსიონრებისათვის საპენსიო დანამატის დანიშვნასთან დაკავშირებულ დავებზე.

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით განიმარტა, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით (აღნიშნული ნორმა გაუქმებულ იქნა 2005 წლის 23 დეკემბრის ცვლილებით) განსაზღვრულ პირთა კატეგორიაში, რომელთაც აღნიშნული კანონის შესაბამისად დანიშნული პენსია გაუდიდდებათ 50%-ით, იგულისხმებიან ის პირები, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთი რომელიმე ხარისხის ორდენით და ამ მუხლით დაწესებული პენსიის მომატების აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს პირის სამივე ხარისხის ორდენით დაჯილდოება. სწორედ 41-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შედარებითი ანალიზი იძლევა აღნიშნული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რადგან „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული საქართველოს სხვა ორდენებში არ შეიძლება მოვიპოვოთ „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ვახტანგ გორგასლის ორდენი, ვინაიდან „ა“ ქვეპუნქტში ამომწურავადაა ჩამოთვლილი, თუ რა სახის ორდენები უნდა ჰქონდეს პირს მიღებული, რათა მასზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული შედავათები,

ხოლო „ბ“ პუნქტში საუბარია სხვა ორდენებზე, ანუ იმ ორდენებზე, რომლებიც არ არის „ა“ ქვეპუნქტის ჩამონათვალში. არ შეიძლება სხვა ორდენებში მოაზრებულ იქნეს ის ორდენი, რომელზეც უკვე მითითებულია წინა პუნქტში. განიმარტა, რომ კონტექსტში „სამივე ხარისხის ორდენი“ სიტყვა „სამივე“ განარტავს სიტყვა „ხარისხს“ და არა ორდენტა რაოდენობას, წინააღმდეგ შემთხვევაში სიტყვა „ორდენი“ წარმოდგენილი იქნებოდა მრავლობით რიცხვში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზე, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ამ კანონის შესაბამისად დანიშნული პენსიის გადიდება ეხებათ იმ პირებს, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან ვახტანგ გორგასლის არა სამივე, არამედ ერთი რომელიმე ხარისხის ორდენით. ამიტომ ამ პირებს ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთი ორდენით დაჯილდოების მომენტიდან ეკუთვნით არა 25%-იანი, არამედ 50%-იანი დანამატი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლი და შესაბამისად, ამ მუხლით გათვალისწინებული დანამატიც გაუქმდა ამავე კანონში 2005 წლის 23 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით. არის შემთხვევები, როდესაც პირები ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოვდნენ მითითებული ნორმის მოქმედების პერიოდში და წარმოეშვათ დანამატის მიღების უფლება, მაგრამ სარჩელი სასამართლოში შეიტანეს კანონის ნორმის გაუქმების შემდეგ. ამ შემთხვევაში პირებს უნდა მიეცეთ თუ არა 50%-იანი დანამატი? მოსამართლეები შეჯერდნენ იმაზე, რომ ამ შემთხვევაშიც პირებს უნდა მიეცეთ 50%-იანი დანამატი (თუ მათი მოთხოვნა ხანდაზმული არ არის), ვინაიდან მათ საპენსიო დანამატი დაენიშნათ კანონის ზემოაღნიშნული ნორმის მოქმედების პერიოდში, ხოლო სადავოა სწორედ დანიშნული დანამატის ოდენობის სისწორე და სარჩელის შეტანა სასამართლოში კანონის ნორმის გაუქმების შემდეგაც არ ართმევთ მათ დანამატის მოთხოვნის უფლებას.